


# ალექსანდრე ქართველი

## წიგნის შესახებ

| | |
|---|---|
| *ტექსტის ტიპი:* | ინფორმაციული / არამხატვრული |
| *ტექსტში სიტყვების რაოდენობა:* | 508 |
| *კითხვის დონე:* | მე-14 |
| *ტექსტის მოკლე შინაარსი:* | ქართველი ავიაკონსტრუქტორის ალექსანდრე ქართველის ბიოგრაფია. ალექსანდრე ქართველის ცხოვრება საქართველოში. მისი წასვლა საქართველოდან. საფრანგეთსა და ამერიკაში ცხოვრების წლები. ალესანდრე ქართველის წარმატება ავიაციაში. ცნობილი ქართველი ავიაკონსტრუქტორის მსოფლიოში ცნობილი გამოგონებები. |

**გაკვეთილის მიზანი:**

*მოცემული ტექსტის („ალესანდრე ქართველი“) გაგება-გააზრება და ტექსტის სტრუქტურული მახასიათებლების იდენტიფიცირება.*

*გაგება / გააზრება:*

- ტექსტის მთავარი გმირის პრეზენტაცია;
- ტექსტის, როგორც ბიოგრაფიული თხრობის სტილის, ახსნა;
- სიუჟეტის განვითარების საფეხურების (დასაწყისი, ზოგადი მონაცემები პერსონაჟზე, ცხოვრების წლები, მთვარი გმირის საქმიანობა, ბოლოსიტყვაობა) გამოყოფა;
- ტექსტში ექსპლიციტურად მოცემული ინფორმაციის ამოცნობა;
- ექსპლიციტურად მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, წინარე ცოდნის გააქტიურება;
- ტექსტში ასახული მოვლენების ქრონოგრაფია/ თანამიმდევრობა;
- ტექსტის გაგებისათვის კითხვა-პასუხის მეთოდის გამოყენება.

ლექსიკა

- ტექსტში მოცემულ უცხო სიტყვებზე მუშაობა;
- უცხო სიტყვების განმარტებისათვის ჯგუფური დისკუსიის მეთოდის გამოყენება;
- უცხო სიტყვების მოძიება განმარტებით ლექსიკონში.

**სტრატეგიები და მეთოდები:**

ტექსტის გაგება/აღქმის მხარდასაჭერად კითხვა-პასუხისა და წინარე ცოდნის გააქტიურების მეთოდების გამოყენება.

**რესურსები:**

1. წიგნი - „ალექსანდრე ქართველი“ (ასლი ყოველი მოსწავლისათვის).
2. დაფა, ცარცი.
3. ბარათები დისკუსიისათვის.
4. სამუშაო ფურცლები.

**ტექსტის წაკითხვამდე:**

- დაწერეთ დაფაზე დიდი ასოებით „ალექსანდრე ქართველი“. ჰკითხეთ მოსწავლებს, რა იციან ამ პიროვნების შესახებ. წაახალისეთ, გამოთქვან საკუთარი ვარაუდები თამამად. მიეცით მიმართულება, სტიმული, ვინ შეიძლება ყოფილიყო ალექსანდრე ქართველი: გენერალი? ექიმი? ცნობილი ფეხბურთელი?
- აჩვენეთ ბავშვებს ალექსანდრე ქართველის სურათი და სთხოვეთ, გამოხატონ საკუთარი ვარაუდები სურათზე გამოსახული ადამიანის პროფესიასთან დაკავშირებით; მოუსმინეთ მათ ვარაუდებს და გააკეთეთ რეზიუმე, ვინ იყო ალექსანდრე ქართველი, რატომ არის მნიშვნელოვანი მის შესახებ ინფორმაციის ცოდნა. შეამზადეთ მოსწავლეები მის შესახებ საინტერესო ისტორიის მოსასმენად;
- დაურიგეთ მოსწავლეებს წიგნები სათითაოდ. აჩვენეთ მათ წიგნის წინა და უკანა ყდა და წაუკითხეთ წიგნის სათაური. იმსჯელეთ მოსწავლეებთან წიგნის ყდის შესახებ, რას ხედავენ ყდაზე. წაახალისეთ მოსწავლეები,

გამოთქვან საკუთარი ვარუდი, როგორი ტიპის წიგნი შეიძლება იყოს ეს, ან რის შესახებ შეიძლება ეწეროს წიგნში.

- ჰკითხეთ მოსწავლეებს, როგორ ფიქრობენ, წიგნი მხატვრულია თუ არამხატვრული. სთხოვეთ, დაასაბუთონ თავიანთი მოსაზრებები. აუხსენით მათ, რომ მოცემული ტექსტი არის ბიოგრაფიული ტექსტი. განმარტეთ მოკლედ, რას ნიშნავს ბიოგრაფიული ტექსტი. აუხსენით, რომ ბიოგრაფიული ტექსტის მახასიათებლებს წიგნის კითხვის პერიოდში კიდევ გააცნობთ.

---

**აქტივობები უშუალოდ კითხვის პროცესში:**

***წიგნის კითხვის კითხვა-პასუხის მეთოდის (წინარე ცოდნასთან დაკავშირების) ახსნა***

- აუხსენით, რომ წიგნის წაკითხვის დროს, ტექსტის უკეთ გასაგებად, გამოიყენებთ წიგნის კითხვის ზემოთ აღნიშნულ მეთოდებს. აუხსენით, რომ წინარე ცოდნის გახსენება მათ დაეხმარებათ მეხიერების მობილიზებასა და ახალ ინფორმაციასთან უკვე ნაცნობი ინფორმაციის დაკავშირებაში. ნაცნობი ინფორმაციის დაკავშირება ახალ ინფორმაციასთან ხელს შეუწყობს ტექსტი უკეთ გაგებას და აღქმას. შემდგომში კი ტექსტის გაანალიზებას.
- წინარე ცოდნიდან მოიყვანეთ ფაქტები. მაგალითად, დახატეთ დაფაზე წრეები. პირველ წრეში ჩაწერეთ „პირველი მსოფლიო ომი“, მეორეში- „ავიაცია“, „ამერიკის დიდი დეპრესიის პერიოდი“, „მეორე მსოფლიო ომი“....
- გაახსენეთ მოსწავლეებს პირველი მსოფლიო ომის თაობაზე ინფორმაცია: როდის დაიწყო პირველი მსოფლიო ომი? ვინ და ვინ ომობდა ვის წინააღმდეგ? იყო თუ არა საქართველო ჩართული ამ ომში? მოსწავლეების პასუხების შემდეგ შეაჯერეთ, რატომ და როდის დაიწყო პირველი

მსოფლიო ომი, რატომ არის ის მნიშვნელოვანი ჩვენთვის. პირველ მსოფლიო ომთან დააკავშირეთ ავიაკონსტრუქტორ ალექსანდრე ქართველის მოღვაწეობა. უთხარით, რომ ამ დროს ალექსანდრე ქართველი რიგით ჯარისკაცად საომრად გაიწვიეს. ის რუსეთის არმიაში მსახურობდა. სთხოვეთ, ახსნან ისტორიულ-პოლიტიკური ფონი საქართველოში: რატომ მოღვაწეობდა ალექსანდრე ქართველი ამ დროს რუსეთის არმიაში?

***ხმამაღლა ფიქრი:*** *მე შემიძლია გამოვიყენო მინიშნებები ალექსანდრე ქართველის გასაცნობად. პირველი მინიშნება ასეთია: „პირველი მსოფლიო ომი“. მე მსმენია პირველი მსოფლიო ომის შესახებ. ალბათ ალექსანდრე ქართველს რაღაც აკავშირებს პირველ მსოფლიო ომთან. ამიტომაც მოიტანა მასწავლებელმა ეს მინიშნება. ალბათ, ალექსანდრე ქართველი მონაწილეობდა პირველ მსოფლიო ომში. მასწავლებელმა თავიდანვე თქვა, რომ ის ავიაკონსტრუქტორი იყო. საინტერესოა, რას აკეთებდა ამ დროს ალექსანდრე ქართველი?*

- გადადით მეორე მითითებაზე: „ავიაცია“. სთხოვეთ, გაიხსენონ, რა იციან ავიაციის შესახებ. შეახსენეთ, რომ ალექსანდრე ქართველი ავიაკონსტრუქტორი იყო. აუხსენით, რატომ გახდა ის ავიაკონსტრუქტორი. სთხოვეთ მოსწავლეებს, გაიხსენონ, რას აკეთებს ავიაკონსტრუქტორი, კერძოდ, ეს არის ადამიანი, რომელიც დაფრინავს, მართავს თვითმფრინავს? აგებს თვითმფრინავებს?... ასწავლეთ მათ, რას საქმიანობდა ალექსანდრე ქართველი, სად მოღვაწეობდა ის ავიაკონსტრუქტორად და ასე შემდეგ... აჩვენეთ მათ სურათები წიგნში... მნიშვნელოვანი ფაქტები აღნიშნეთ დაფაზე იმ წრის ირგვლივ, სადაც წერია სიტყვა „ავიაცია“.
- შემდეგ ეტაპზე განიხილეთ ქვეთავი „ამერიკის დიდი დეპრესიის პერიოდი“. ჰკითხეთ მოსწავლეებს, რა ახსოვთ ამ პერიოდის შესახებ? ეცადეთ, მათ გაახსენოთ ეტაპობრივად: ეს პერიოდი ეხება ამერიკის შეერთებულ შტატებს, ეს არის მნიშვნელოვანი დროის მონაკვეთი ამერიკის ისტორიიდან....

*ხმამაღლა ფიქრი: „მე ვიცი, რომ „დიდი დეპრესიის პერიოდი“ ამერიკისათვის მნიშვნელოვანი ისტორიული პერიოდია. ეს სახელი იმიტომ უწოდეს, რომ ამ დროს ამერიკაში დიდი ეკონომიკური კრიზისი იყო. ეკონომიკური კრიზისის დროს უჭირთ სამუშაოს პოვნა. ხალხს საკმარისი ფული არ აქვს. მაგრამ, მე არ ვიცი, რა კავშირშია ალექსანდრე ქართველი ამერიკის „დეპრესიის პერიოდთან“. იქნებ ამ დროს ამერიკაში ცხოვრობდა? საინტერესოა, რას აკეთებდა იქ?“*

- მიუბრუნდით წიგნს, წაიკითხეთ ტექსტიდან ის ნაწილი, სადაც წერია, რატომ და როგორ წავიდა ალექსანდრე ქართველი ამერიკაში. დააკავშირეთ მისი ამერიკაში ყოფნა „დიდი დეპრესიის პერიოდთან“. როგორ ცხოვრობდა ამ დროს ალექსანდრე? გაუჭირდა თუ არა მასაც სამუშაოს შოვნა? სად მუშაობდა?

**ლექსიკა / ინდივიდუალური სამუშაო**

***ტექსტში გამოყენებული დროის აღმნიშვნელი სიტყვების იდენტიფიცირება:***

**როდესაც, მალევე, შემდეგ, ცოტა ხნის შემდეგ, ორი წლის შემდეგ, მაშინ, ამ დროს.**

მიეცით დავალება მოსწავლეებს, სწრაფად გადაიკითხონ ტექსტი, იპოვონ და შემოხაზონ დროის აღმნიშვნელი სიტყვები. აუხსენით, რომ დროის აღმნიშვნელი სიტყვები მათ მოვლენების ქრონოლოგიაში დაეხმარებათ. შემდგომი დავალება კი მოვლენების თანმიმდევრულად დალაგებას, ქრონოლოგიას ეხება.

**გააზრება/ ჯგუფური სამუშაო**

***მოვლენათა თანამიმდევრობის ამოცნობა***

- დაყავით კლასი რამდენიმე სამუშაო ჯგუფად (რამდენი ჯგუფის გამოყოფის საშუალებასაც მოსწავლეთა რაოდენობა იძლევა). დაურიგეთ მათ სამუშაო ფურცლები, სადაც ცხრილის სახით მოცემული იქნება დროის აღმნიშვნელი სიტყვები. აუხსენით, რომ ცხრილში სიტყვები თანმიმდევრულად, ტექსტის მოვლენათა მიხედვითაა დალაგებული.

| **დროის აღმნიშვნელი სიტყვა** | **მოვლენა** |
|---|---|
| მალევე | |
| როდესაც | |
| შემდეგ | |
| ცოტა ხნის შემდეგ | |
| ორი წლის შემდეგ | |
| ამ პერიოდში | |
| მაშინ | |
| ამ დროს | |

- სთხოვეთ მოსწავლეებს, მოძებნონ ტექსტში მოვლენები, რომლებიც უკავშირდება ალექსანდრე ქართველს და სადაც გამოყენებული იქნება ცხრილში მოცემული დროის აღმნიშვნელი სიტყვები. უთხარით, რომ ეს სიტყვები არის მისათითებელი სიტყვები. ეს სიტყვები მათ მიუთითებს მოვლენაზე, რომელიც გარკვეულ პერიოდში მოხდა.

- აუხსენით, რომ დავალების სწორად შესასრულებლად მათ მისათითებელ სიტყვას გვერდითა გრაფაში უნდა მიუწერონ მოვლენა, რომლის აღსანიშნავადაც გამოყენებულია კონკრეტული მისათითებელი სიტყვა. როდესაც ყველა მოვლენას, დროის აღმნიშვნელი სიტყვების მიხედვით დაალაგებენ, საბოლოო ჯამში უნდა მიიღონ მოვლენათა თანამიმდევრულობა.
- სამუშაო დავალების შესასრულებლად მიეცით 5 წუთი. დავალების პრეზენტაციისათვის თითოეულ ჯგუფს მიეცით თითო წუთი. გადაამოწმეთ მოვლენათა თანმიმდევრულობა ტექსტის მიხედვით (მაგ. **ორი წლის შემდეგ** სევერსკი თანამდებობიდან გადააყენეს... **ამ პერიოდში** ალექსანდრემ ცნობილი ბომბდამშენი P-47 Thunderbolt შექმნა).

**ლექსიკა**

***უცხო სიტყვებზე მუშაობა***

- დაწერეთ დაფაზე შემდეგი უცხო სიტყვები ტექსტიდან:

ავიაკონსტრუქტორი, ფანტაზია, მეოცნებე, ბოლშევიკი, უთანხმოება, დეპრესია, დიდი წვლილი შეიტანა.

- დაყავით მოსწავლეები ჯგუფებად; თითოეულ ჯგუფს მიეცით სამუშაო ფურცლები უცხო სიტყვებზე სამუშაოდ. ჯგუფების რაოდენობის მიხედვით გადაანაწილეთ უცხო სიტყვები და სთხოვეთ ჯგუფებს, იმსჯელონ მოცემულ უცხო სიტყვაზე თუ გამოთქმაზე და ახსნან მისი მნიშვნელობა საკუთარი სიტყვებით.

- სიტყვის მნიშვნელობის ახსნა მათ შეუძლიათ როგორც ერთი ან ორი სიტყვით, აგრეთვე წინადადებებით. სიტყვის მნიშვნელობის ასახსნელად შეუძლიათ დახატონ სურათი.
- წაახალისეთ ისინი, გამოიყენონ ნებისმიერი საშუალება მოცემული უცხო სიტყვების გასაგებად და ასახსნელად. ჯგუფური სამუშაოს შესასრულებლად მიეცით მათ 4 წუთი, ხოლო პრეზენტაციისათვის თითოეულ ჯგუფს მიეცით 2-2 წუთი.

**გაგება/გააზრება**

**კითხვა-პასუხის მეთოდის გამოყენება**

- წინასწარ მოამზადეთ სამუშაო ფურცლები, სადაც ქვემოთ მოცემული კითხვებიდან შერჩეული იქნება ორი ან სამი კითხვა.

- **რა პროფესიისა იყო ალექსანდრე ქართველი?**
- **სად სწავლობდა ალექსანდრე ქართველი?**
- **რომელ ჯარში იყო ალესანდრე ქართველი საარტილერიო ოფიცერი?**
- **როდის გადავიდა ალექსანდრე ქართველი ქართულ არმიაში?**
- **რატომ გახდა ის იძულებული საქართველო დაეტოვებინა და საფრანგეთში წასულიყო?**
- **სად სწავლობდა ალექსანდრე საფრანგეთში?**
- **როგორი ტიპის თვითმფრინავებს ქმნიდა ალექსანდრე ქართველი?**

- გაითვალისწინეთ, რომ თითო სამუშაო ფურცელზე უნდა იყოს მაქსიმუმ სამი კითხვა. სთხოვეთ, მიუთითონ ტექსტიდან შესაბამისი გვერდი, სადაც მოსწავლეები იპოვიან აღნიშნულ კითხვაზე პასუხს. მაგალითად, „რა იცით ალექსანდრეს ოჯახის შესახებ? ( გვ.10)
- დაყავით კლასი ჯგუფებად, დაურიგეთ მოსწავლეებს სამუშაო ფურცლები. აუხსენით, რომ ტექსტის დახმარებით უპასუხონ სამუშაო ფურცელზე მოცემულ კითხვებს. აუხსენით, რომ ყველა კითხვას გვერდით აქვს მითითებული წიგნის გვერდი, სადაც ისინი შეძლებენ, იპოვონ მოცემულ კითხვაზე პასუხი.
- სამუშაოს შესასრულებლად მიეცით 5 წუთი. ჯგუფური სამუშაოს პრეზენტაციისათვის თითოეულ ჯგუფს მიეცით 2 წუთი. პრეზენტაციის შემდეგ გააკეთეთ რეზიუმე ალექსანდრე ქართველის ბიოგრაფიის შესახებ. შეაჯამეთ მათ მიერ მოპოვებული პასუხები ტექსტიდან.

**გააზრება/ ტექსტის სტრუქტურული მახასიათებლები**

- კიდევ ერთხელ გაამახვილეთ ყურადღება ბიოგრაფიული ტექსტის მახასიათებლებზე. ყურადღება მიაქცევინეთ ტექსტის ქვეთავებზე.
- სთხოვეთ, იმსჯელონ, რა ტიპის ინფორმაციას გადმოგვცემს ტექსტი თითოეული ქვეთავი ბიოგრაფიული ტექსტის მთავრი გმირის შესახებ; დაეხმარეთ, დისკუსიის ბოლოს ტექსტის სტრუქტურული მახასიათებლების რეზიუმირებაში.

## კითხვის შემდგომი აქტივობები

- კიდევ ერთხელ წააკითხეთ მოსწავლეებს ტექსტი. სთხოვეთ, კითხვის დროს გახაზონ მნიშვნელოვანი ინფორმაცია. დააჯგუფეთ მოსწავლეები ორ-ორად და ურჩიეთ, გაუზიარონ პარტნიორს თითოეული ქვეთავის მთვარი იდეა. დაწერონ სათითაოდ თითოეული ქვეთავის მთავარი იდეა წიგნის ბოლო გვერდზე ან ცალკე სამუშაო ფურცელზე. შეამოწმეთ, როგორ გაიგეს ტექსტის იდეა.

## რეფლექსია კითხვის სტრატეგიასთან დაკვაშირებით

- ჰკითხეთ მოსწავლეებს, როგორ დაეხმარათ მათ კითხვის დროს წინარე ცოდნის გააქტიურების  მეთოდი. სთხოვეთ, გაიხსენონ ტექსტიდან ყველაზე მნიშვნელოვანი.

## რეფლექსია გაგების უნართან დაკავშირებით

- ჰკითხეთ მოსწავლეებს, რამდენად დაეხმარათ მათ კითხვა- პასუხის მეთოდი ტექსტის უფრო კარგად გასაგებად.

- **დამოუკიდებელი სამუშაო:** სთხოვეთ მოსწავლეებს, დაწერონ საკუთარი აზრი იმის შესახებ, თუ რატომ იყო მნიშვნელოვანი ალექსანდრე ქართველის ბიოგრაფია.

**საშინაო დავალება**

**ლექსიკა ( უცხო სიტყვების განმარტებების მოძებნა ლექსიკონში)**

- აუხსენით, მოსწავლეებს, რომ  უცხო სიტყვების მნიშვნელობის გასაგებად არსებობს სპეციალური წიგნი, რომლესაც ლექსიკონი ჰქვია. ლექსიკონი განმარტავს უცხო სიტყვებს უფრო მარტივი ენით.
- სთხოვეთ, იპოვონ ლექსიკონში დამოუკიდებლად ან მშობლის/ მეგობრის დახმარებით ის უცხო სიტყვები, რომლებიც კლასში ერთხელ უკვე განიხილეთ და განარტეთ (ავიკონსტრუქტორი, ფანტაზია, მეოცნებე, ბოლშევიკი, უთანხმოება, დეპრესია, დიდი წვლილი შეიტანა).
- სთხოვეთ, შეადარონ ერთმანეთს კლასში ჯგუფური მუშაობის დროს განარტებული უცხო სიტყვები ლექსიკონის მიხედვით განმარტებულ სიტყვებს.

**უნარების შემოწმება (მიმდინარე შეფასება)**

სადისკუსიო ბარათები სწავლების დამატებითი აქტივობაა. ქვემოთ ჩამოთვლილია რამდენიმე ვარიანტი, როგორ შეიძლება გამოიყენოთ სადისკუსიო ბარათები მოსწავლეებთან.

1. ბარათები გამოიყენეთ ლიტერატურული წრის შესაკრავად.
2. ბარათები შეიძლება გამოიყენოთ წიგნის კითხვის დაწყებამდეც. მოსწავლე ირჩევს ერთ-ერთ ბარათს, სადაც წერია კითხვა, ან საკითხი, რომელიც მან ჯერ არ იცის. წიგნის წაკითხვა მიმართული იქნება სადისკუსიო ბარათზე მოცემული კითხვის საპასუხოდ.
3. ბარათები გამოიყენეთ თამაშისთვის.

**მოსწავლეთა მონიტორინგი, რა შეუძლიათ მათ...**

1. დისკუსიებში ან სამუშაო ფურცლებზე კითხვა-პასუხის სტრატეგიის ადეკვატურად გამოყენება;
2. დისკუსიებში ან სამუშაო ფურცლებზე ბიოგრაფიული ტექსტის მახასიათებლების იდენტიფიცირება; განსხვავების დანახვა მხატვრულ და ბიოგრაფიულ ტექსტს შორის;
3. ბიოგრაფიული ტექსტის მთავრი პერსონაჟის შესახებ ექსპლიციტურად გადმოცემულ ინფორმაციის წარმოდგენა;
4. ტექსტში მოცემული უცხო სიტყვების ახსნა / განმარტება საკუთარი სიტყვებით.